

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი

22.01.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ამილახვარი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სხდომის მდივანი

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სერგო ჭელიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ანა ფირცხალაშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:  
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;  
ნინო შიოშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;  
გიორგი გვალია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;  
მაკა ლაშხია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;  
მარიამ კვიციანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;  
თამარ ცოფურაშვილი - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;  
მარინა ადამია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;  
თამარ ცხადაძე - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;  
გიორგი ალადაშვილი - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ირმა ინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;  
ნინო ჩიკვილაძე - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;  
თეიმურაზ ყანდაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ზურაბ ხონელიძე - რექტორი;  
რომეო გალდავა - ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;  
მარიამ მირესაშვილი - პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი;  
დავით ჯალაღონია - პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;  
ირმა დინამინჯია - ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;  
მარინე ხუბუა - ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;  
გიორგი ბერულავა - პროფესორი;  
ნინო ხარებავა - ასოცირებული პროფესორი.

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტი:

დავით კერესელიძე - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;  
გაგა გაბრიჩიძე - სამართლის სკოლის დეკანი;  
ელენე მამუკელაშვილი - კანცლერი;  
მარიამ შოშიაშვილი - სერვისების განვითარების სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

რუსუდან თაყაიშვილი;  
ნანა ფირცხელანი;  
დავით სიხარულიძე;  
დავით ცირამუა;  
ნათია დაღელიშვილი;  
თინათინ ბოჭორიშვილი;  
თამარ ნადირაშვილი;  
ნინო ბოგვერაძე;  
თათია უბერი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა. ამავე მუხლის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა ლევან გორდეზიანს. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, მაია გელაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკითხის განხილვით ვერ დაიწყებდნენ სხდომას, რადგან საბჭოს წევრთა თვითაცილებების გათვალისწინებით, საკითხის განხილვისთვის საჭირო ქვორუმი არ იქნებოდა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული საკითხის განხილვა მომხდარიყო მეორე საკითხად. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შეცვლილი დღის წესრიგი.:

- 1.სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 2.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა; წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1.სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს წევრმა მაკა ლაშხიამ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება.

|  |              |                          |
|--|--------------|--------------------------|
| საგანმანათლებლო დასახელება                 | პროგრამის    | ფილოსოფია                |
| კვალიფიკაციის დონე                         |              | დოქტორანტურა             |
| მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კვალიფიკაცია | ფილოსოფიის დოქტორი, 1006 |
| სწავლების ენა                              |              | ქართული                  |
| კრედიტების რაოდენობა                       |              | 180                      |

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, მანა გელაშვილმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ექსპერტი გეორგ ლომანი ჯანმრთელობის პრობლემის გამო ვერ ჩაერთვებოდა აღნიშნულ საბჭოს სხდომას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის ადგილობრივ წევრს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რჩევები, რადგან რეკომენდაციები არ ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფს.

- სადოქტორო პროგრამის მომავლისთვის, სასურველია გაითვალისწინოთ თემატური კონცენტრირება (იხ. დამატება 2);
- მიღების ჟურნალის გამოქვეყნებისთვის დადასტურება ჩაითვალოს საკმარისად (იხ. დამატება 3).
- რამდენადაც პროგრამა ახალია, სასურველია, რომ პროგრამის შედეგების შეფასება და პროგრამის სამიზნე ნიშნულების მიღწევის შესაძლებლობა პირველად განიხილოთ 6 წელზე უფრო ადრე (მაგალითად 3-4 წელში).
- განსაზღვრეთ დოქტორანტურის სტუდენტების პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ფართო ხედვა პრაქტიკულ ფილოსოფიაში და მათი დასაქმების შესაძლებლობები, გარდა კვლევასა და აკადემიურ კარიერაში.

საბჭოს წევრმა გიორგი ამილახვარმა, იკითხა პროგრამა ინგლისურენოვანი იყო თუ არა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა უპასუხა, რომ ქართულენოვანი იყო პროგრამა, თუმცა შეფასება განხორციელდა ინგლისურ ენაზე, ვინაიდან საერთაშორისო ექსპერტი იყო ჯგუფის თავმჯდომარე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა პროგრამის ფარგლებში იყო თუ არა დისერტაცია დაცული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა იყო ახალი და ჯერ დისერტაციები არ ჰქონდათ დაცული.

დაწესებულების წარმომადგენელი გიორგი გვალია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული მუშაობისთვის. რაც შეეხებოდა წინა შეკითხვას, მან

განმარტა, რომ პროგრამის ეს ვერსია იყო ახალი, თუმცა უნივერსიტეტს ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ მაშინ პროგრამა წარმოდგენილი იყო ინტერდისციპლინური სახით. იმ დროისთვის კი მათ წარადგინეს განახლებული კონცეფციით და ახალი სახით პროგრამა, რომელიც განხორციელდებოდა დამოუკიდებლად. წინა პროგრამის ფარგლებში კი ჰქონდათ დისერტაციები დაცული.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა ლაშხიამ განმარტა, რომ ის იყო ერთ-ერთი ბოლო ვინც ფილოსოფიის მიმართულებით დაიცვა დისერტაცია 2013 წელს, მაგრამ მაშინ პროგრამა ხორციელდებოდა ინტერდისციპლინური პროგრამის ფარგლებში. ასევე, განმარტა, რომ ჰქონდათ მომიჯნავე დარგები და ჰყავდათ წინა პროგრამიდან სტუდენტები, რომლებიც სტატუსშეჩერებულები იყვნენ, თუმცა მოხდებოდა მათი გადაყვანა ახალ პროგრამაზე. პროგრამაზე სწავლების საკმაოდ დიდი მოთხოვნა იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ რამ განაპირობა იმ პროგრამის ახლიდან შექმნა და რა ხარვეზი ჰქონდა როცა იგი ინტერდისციპლინურის ფარგლებში ხორციელდებოდა, რა იყო მოტივაცია დაწესებულების მხრიდან, რომ ცალკე გამოეყოთ პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მთავარი მოტივაცია დაკავშირებული იყო სასწავლო კომპონენტთან, რომელსაც ითვალისწინებდა ზოგადად სადოქტორო პროგრამები და ვინაიდან იქამდე არსებულ ვერსიაში პროგრამა წარმოდგენილი იყო ინტერდისციპლინური სახით, ფილოსოფიის მიმართულების სტუდენტები იძულებულები იყვნენ აეღოთ სასწავლო კომპონენტში ისეთი კურსები, რომლებსაც თვლიდნენ, რომ არ იყო მათ კვლევით ინტერესებთან დაკავშირებული. ახალი კონცეფციით კი უშუალოდ დოქტორანტების კვლევით ინტერესებს მოარგეს პროგრამა. დოქტორანტს უნდა გაეელო ორი სადოქტორო სემინარი შემდეგ 4 კვლევითი სემინარი, რომლებიც თემატურად დალაგებული იქნებოდა უშუალოდ დოქტორანტის კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე კვლევის სფეროები უფრო დარგობრივი და დავიწროვებული გახდა.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ კითხვა ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლებთან და ასევე ექსპერტებთან, რომელიც ეხებოდა სასწავლო კომპონენტის თავისებურებას, რომლის უდიდესი ნაწილი შედგებოდა სემინარებისაგან, რის შესახებაც დაწესებულების წარმომადგენელმა თავშივე განმარტა, რომ სემინარის შინაარსი უკავშირდებოდა კვლევით თემას, ანუ დოქტორანტის კონკრეტული საკვლევი თემიდან გამომდინარე სემინარისთვის ინდივიდუალურად შედგებოდა დასამუშავებელი მასალა თუ არა. ასეთ შემთხვევაში, ხომ არ ფიქრობდნენ, რომ სასწავლო კომპონენტში გაწერილი სემინარი, იგივე კვლევითი კომპონენტი გამოდიოდა. აღნიშნული კითხვა ეხებოდა ექსპერტებსაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ქონდათ მოაზრებული ისე, რომ სასწავლო კომპონენტი შედგებოდა 60 კრედიტისაგან. მათ არ ჰქონდათ სილაბუსები გარკვეული თემატიკით ჩაშლილი, რადგან ფიქრობდნენ, რომ კვლევითი სემინარიც და დოქტორანტის სემინარიც ინდივიდუალურად შეიძლება მორგებოდა დოქტორანტის საკვლევ ინტერესებს და ასევე, შესაძლებელი იყო მას აერჩია სხვა მომიჯნავე დარგის პროფესორის კვლევითი სემინარი. მათი მთლიანად სადოქტორო პროგრამების კონცეფცია იყო ისეთი, რომ დოქტორანტს აძლევდა საშუალებას კვლევითი სემინარები აეღო, როგორც თავის უშუალო ხელმძღვანელთან, ასევე მომიჯნავე დარგის პროფესორებთანაც. სილაბუსების წარმოდგენა ყველა მომიჯნავე დარგიდან ძალიან რთული იქნებოდა როდესაც განაცხადი შემოჰქონდათ. სადოქტორო სკოლის ფარგლებში მათ ჰქონდათ შეხვედრები, რომელიც ტრადიციით ჰქონდათ ქცეული, იმართებოდა

დისკუსიები და მოხსენებები და დოქტორანტებთან. არგუსის გარდა ჰქონდათ ფართო არეალი, რომ კარგად გაცნობოდნენ ინფორმაციას და ისე გადაეწყვიტათ ვისი კვლევის სემინარი აერჩიათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ დოქტორანტი დაწესებულებაში მიდიოდა კვლევითი განაცხადით, შეძლებისდაგვარად დამუშავებული თემით და კვლევითი მონახაზით. ასევე აღნიშნა, რომ სადოქტორო სემინარი, რომელიც ერთწლიანი იყო და ის დრო ეთმობოდა იმას, რომ დოქტორანტს მოემზადებინა პროსპექტუსი და დაეცვა. პროსპექტუსის დაცვის შემდეგ დოქტორანტი გადადიოდა კვლევითი სემინარის საფეხურზე, რომელიც გულისხმობდა სტრუქტურირებულ გრაფიკს, რომ ეწარმოებინა კვლევა. აღნიშნული პროგრამის სტრუქტურა კი შეიმუშავეს კვლევის შედეგად გამოვლენილ მოსაზრებებზე, რომელიც ჩაატარეს უნივერსიტეტში. ხელმძღვანელებთან შეხვედრების პრობლემა გამოიკვეთა და კვლევა მოაქციეს ამიტომ სილაბუსის ფარგლებში, რითიც ავალდებულებენ ოფიციალურად ხელმძღვანელებს და დოქტორანტებს ერთმანეთთან შეხვედრებს.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა გამოთქვა მოსაზრება, კვლევითი სემინარები გულისხმობდა კვლევით სწავლას, რაც სავსებით მისაღებია სადოქტორო დონეზე. მაგრამ დოქტორანტისთვის ბუნდოვანი იქნებოდა, რა აერჩია თავისი სპეციალობის კვლევითი სემინარი თუ მომიჯნავე დარგის. რამდენედაც კონკრეტულ ინფორმაციას სემინარის შინაარსის შესახებ, წარმოდგენილი პროგრამა არ იძლეოდა. კითხვა შეეხებოდა, დოქტორანტისთვის არჩევანის შეთავაზება ხდებოდა სხვაგან თუ პროგრამის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოქტორანტს ჰყავდა ხელმძღვანელი და თავის არჩევანს ათანხმებდა ხელმძღვანელთან. თემატური კონკრეტიზაციისგან შიკავეს თავი, რადგან წინასწარ არ იცოდნენ რა კვლევითი ინტერესების დოქტორანტი ჩაირიცხებოდა მათ პროგრამაზე. ფილოსოფია კი თავისი დარგებით საკმაოდ ფართო იყო და სწორედ თემატურ დაკონკრეტებას მოერიდნენ, რადგან დოქტორანტს არ გამოეთქვა შემდგომში პრეტენზია, რომ გაიარა ის რაც მის კვლევით ინტერესებს არ შეესაბამებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა დოქტორანტს ჰქონდა თუ არა უფლება სემინარი გაეკეთებინა იმ თემაზე, რომელზეც მუშობდა და მისი სადოქტორო თემა იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ცხადია ჰქონდა და სადოქტორო სემინარები გულისხმობდა სწორედ იმას, რომ დოქტორანტი უნდა ჩაღრმავებოდა თავის დისერტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა, ჰქონდა თუ არა უფლება ის სემინარი გამოეყენებინა და გამხდარიყო მისი დისერტაციის ნაწილი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ცხადია ჰქონდა გამოყენების უფლება. ასევე, აღნიშნა, რომ იმ ნაწილში დაწესებულება დაეყრდნო საერთაშორისო გამოცდილების პრაქტიკას.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულით ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანებას. საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა მიმართა დაწესებულებას თუ შეეძლოთ, რომ ჩამოეყალიბებინათ რომელი იყო კვლევითი კომპონენტი და რომელი სასწავლო კომპონენტი, რადგან მასალებიდან არ ჩანდა მკაფიოდ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროცედურას ახსნიდა დეტალურად. დოქტორანტი მათთან მიდიოდა მისი კვლევითი განაცხადით და იმ განაცხადს იცავდა

დარგობრივი კომისიის წინაშე. პირველი ორი სემესტრი იგი გადიოდა სადოქტორო სემინარს თემის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან ერთად.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა იკითხა, ის სადოქტორო სემინარი კვლევითი იყო თუ სასწავლო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზოგადად განმარტება უნდოდა სადოქტორო პროგრამების კონცეფციის და არა მარტო იმ პროგრამასთან მიმართებით. საერთაშორისო გამოცდილებით შესაძლოა არსებობდა სხვადასხვა ტიპის პროგრამები, კლასიკური სადოქტორო პროგრამები, სადაც აქცენტი თემატური კურსების ერთობლიობაზე იყო გაკეთებული. არსებობდა მეორე ტიპის სადოქტორო პროგრამები, სადაც აქცენტი გადატანილი იყო კვლევით ნაწილზე. აღნიშნული პროგრამების სიკარგე დამოკიდებული იყო დაწესებულების გამოცდილებაზე, კულტურულ კონტექსტზე და სხვა. ორივე პროგრამა იყო აპრობირებული. იმ გამოცდილებით, რაც მათ ჰქონდათ და იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროისთვის ყველაზე დიდი დეფიციტი იყო კვლევებზე, გადაწყვიტეს, რომ უპირატესობა მიენიჭებინათ იმ ტიპის პროგრამებზე, რომლებიც კვლევებზე იყო ორიენტირებული. ისინი თვლიდნენ, რომ დოქტორანტებისთვის კონკრეტული დარგობრივი ცოდნის მიწოდება აღარ იყო საჭირო, რადგან გავლილი უნდა ჰქონოდათ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე. მათი სადოქტორო პროგრამის კონცეფცია იყო პირველი და აფსოლუტურად ლოგიკურიც.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ წარდგენილ სილაბუსებიდან ცალსახად ჩანდა, რომ სემინარში წარდგენილი ძირითადი დებულებები გახდებოდა დისერტაციის ნაწილი.

საბჭოს წევრმა ლევან გორდუზიანმა, განაცხადა, რომ კონცეპტუალურად იზიარებდა, რაც იყო წარდგენილი უნივერსიტეტის მხრიდან. მათ შეეძლოთ საკითხი დაენახათ იმ მხრიდან, რომ სასწავლო თუ კვლევით სემინარებზე ხდებოდა იმ ქვედარგში და დისერტაციის თემატიკაში შესვლა. კვლევის მეშვეობით ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება. სილაბუსებში შესაძლოა რაიმე გაიპარა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა გარკვეულ რეგულაციებთან, მაგრამ რეალურად საქმეში მუშაობდა სხვაგვარად.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ მინისტრის ბრძანებაში ეწერა, რომ 60 კრედიტი აუცილებელი და სავალდებულო იყო სასწავლო კომპონენტისთვის.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა დაწესებულებას იმ ნაწილში, რომ კვლევით სწავლაც სწავლა იყო, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტები სასწავლო კომპონენტის სემინარებშიც უტრიალებდნენ ისევ საკვლევ თემას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაშინ გამოდიოდა ისე, რომ ორჯერ ანიჭებდნენ კრედიტს ერთიადიმავე შესრულებულ სამუშაოში ერთი სემინარის დროს და მეორე 120 კრედიტის ფარგლებში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ იგივე კითხვები ვიზიტის მსვლელობის დროსაც დაისვა და რჩევებშიც გამოიტანეს ის, რომ უმჯობესი იქნებოდა თემატური კონცენტრაცია, რადგან ბუნდოვანი იყო.

საბჭოს წევრმა დენიტა ბიბილეიშვილმა იკითხა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა იყო 3-დან 5 წლამდე და პირველ და მეორე სემესტრში დატვირთვა იყო დაახლოებით 12 კრედიტი, ხოლო არ თვლიდნენ, რომ დროს დაკარგავდნენ დოქტორანტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ წელს დოქტორანტი გადიოდა პირველ და მეორე სემინარს, რომლის ბოლოს იცავდა პროსპექტუსს, დოქტორანტს შეეძლო ხელმძღვანელის ასისტირება. შემდეგ თანმიმდევრობით მიყვებოდა კვლევითი სემინარები პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე და იმ დროსვე სტუდენტი გადიოდა აკადემიური წერის კომპონენტს.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა იკითხა, პროგრამაში გაწერილი იყო, რომ დოქტორანტს ხელმძღვანელის ასისტირება შეეძლო, როცა დაცული ჰქონდა პროსპექტუსი და მზად უნდა ჰქონოდა კვლევის შედეგები, როგორ მოახერხებდა იმას თუ ძირითადად და არჩევითშიც ასისტირება პირველი სემესტრიდან იწყებოდა და ასევე თუ დოქტორანტმა ძირითადად აირჩია ასისტირება და არჩევითშიც მამინ გამოდიოდა, რომ ერთიდაიმავეში ანიჭებდნენ კრედიტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხშირად სადოქტორო საფეხურზე მიდიოდა აპლიკანტი, რომელსაც ჰქონდა სასწავლო გამოცდილება, ის უკვე ასწავლიდა უნივერსიტეტში. ტექნიკური შეცდომა იყო გაპარული და აუცილებლად გაასწორებდნენ. ხოლო ახალი დოქტორანტები ვინც მიდიოდნენ, რომელთაც არ ჰქონდათ სწავლების გამოცდილება, რა თქმა უნდა პროსპექტუსი და სადოქტორო სემინარები სავალდებულო იყო. რაც შეეხებოდა ორ ასისტირებას და კურიკულუმის განვითარების საგანს, აღნიშნა, რომ იყვნენ ადამიანები, რომლებისთვისაც სასწავლო კომპონენტი ძლიან მნიშვნელოვანი იყო და მათ მისცეს შესაძლებლობა, რომ ასისტირება მათთვის ყოფილიყო 12 კრედიტის ოდენობის. ზოგს არ უნდოდა ასისტირება და უნდოდა რომ 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტი გაველო და დაესრულებინა, არის დარგები რომლებიც მეტ ასისტირებას მოითხოვს და მისცეს შესაძლებლობაც იმ მიმართულებით. რაც არ ნიშნავდა ორჯერ კრედიტის მინიჭებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ პროგრამის ძველ და ახალ ვერსიაში განსხვავება იყო ის, რომ ასისტირება იყო განსაზღვრული 18 კრედიტით, გამოცდილებამ აჩვენა, რომ რიგ შემთხვევაში იყო პრობლემა, რადგან მოითხოვდა დატვირთვას და იმ ადამიანებს განიხილავდნენ მომავალ აკადემიურ პერსონალად, რომელთაც უნდა ჰქონოდათ კვლევითი უნარების გარდა სწავლების უნარებიც, ჩათვალეს, რომ ასისტირება უნდა ყოფილიყო სავალდებულო და შემცირებულიყო 18-დან 12 კრედიტამდე. რაც შეეხებოდა იმას, რატომ იყო ძირითადი და არჩევითი, ასისტირება მხოლოდ სიტყვა მეორდებოდა, რადგანაც შესაძლებელი იყო რომ დოქტორანტისთვის ერთი ასისტირება არ ყოფილიყო საკმარისი და მომიჯნავე დარგის ხელმძღვანელთან გაველო მეორე, გარდა იმისა ასისტირებაში არ იგულისხმებოდა ერთი და იმავე საქმის კეთება, რადგან ერთ შემთხვევაში შესაძლოა ყოფილიყო ლექციების წაკითხვა, მეორეში ნაშრომების გასწორება და სხვა.

საბჭოს სხდომაზე 17:07 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს წევრები დეტალურად გაეცნენ, როგორც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ასევე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. ამასთან, ზეპირ მოსმენაზე მოისმინეს დაწესებულების წარმომადგენლების და ექსპერტების განმარტებები პროგრამასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ პროგრამით გათვალისწინებული შეფასების სისტემა მიზანშეწონილი იყო შეცვლილიყო, კერძოდ, უმჯობესი იყო თუკი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის შეფასება განხორციელდებოდა ერთჯერადად. აქედან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტი შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი.



შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3<sup>1</sup> პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ იმსჯელა და შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ მიზანშეწონილია 6 თვის ვადაში პროგრამაზე განხორციელდეს მონიტორინგი.

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

|  |              |  |
|--|--------------|--|
| საგანმანათლებლო დასახელება                 | პროგრამის    | ბიზნესის ადმინისტრირება                |
| კვალიფიკაციის დონე                         |              | ბაკალავრიატი                           |
| მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, 02 |
| სწავლების ენა                              |              | რუსული                                 |
| კრედიტების რაოდენობა                       |              | 240                                    |

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით თვითაცილება განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა. შესაბამისად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ამილახვარმა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ამილახვარმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ამილახვარმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ამილახვარმა სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს გააცნო მათ მიერ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

**რეკომენდაციები**

1. რეკომენდირებულია შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები;
2. რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას პროფესიული რუსულის, კერძოდ ბიზნეს რუსულის სწავლება.
3. რეკომენდირებულია სტუდენტთათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შეთავაზება, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით.
4. რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის სავალდებულო ბლოკში ისწავლებოდეს ფინანსური მენეჯმენტი.
5. რეკომენდირებულია გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში.

6. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს კარიერული განვითარების ხელშემწყობი სერვისები და უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირება შესაბამისი სერვისის ხელმისაწვდომობის შესახებ, მათ შორის დასაქმების ფორუმების, ტრენინგებისა და ვორქშოპების ჩატარების გზით, მათ შორის, სპეციფიკურად რუსულენოვანი პროგრამის სტუდენტებისათვის გააძლიეროს შესაფერის დამსაქმებლებთან თანამშრომლობა;
7. რეკომენდირებულია დაწესებულებამ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის რუსულ ენაზე ხელმისაწვდომობა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სანამ სიტყვას გადასცემდა დაწესებულების წარმომადგენელს აინტერესებდა სტუდენტები საქართველოს მოქალაქეები იყვნენ თუ უცხო ქვეყნის, ჰქონდათ თუ არა ენის ცოდნის პრობლემა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და ენის ბარიერი არ ჰქონდათ კარგად ფლობდნენ რუსულ ენას.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, როგორ ფიქრობდნენ დაშვების წინაპირობად უნდა ყოფილიყო თუ არა ენის ცოდნის დონე განსაზღვრული, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ რჩევა ჰქონდათ გაცემული აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც განმარტა, რომ არნიშნული პროგრამა შეიქმნა 2012 წელს და განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ძალიან ბევრი მსურველი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ამილახვარმა იკითხა, რომ თვითშეფასებაში მსურველების კლება აღინიშნებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2017 წელს 259 ადამიანი იყო მსურველი. გარდა ამისა განმარტა, რომ ზოგად უნარებს აბარებდნენ რუსულ ენაზე და დანარჩენი გამოცდები ქართულ ენაზე ბარდებოდა, შედეგად ბევრი ვერ გავიდა. რაც შეეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, თავიდან იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და შემდეგ მათ მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ამილახვარმა იკითხა ჰყავდათ თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეები და რამდენ პროცენტს წარმოადგენდნენ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰყავდათ და დაახლოებით 50% შეადგენდნენ. ყაზახეთიდან იყვნენ, უკრაინიდან, უნგრეთიდან, აზერბაიჯანიდან. სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რომ ისინი ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე იყვნენ ჩარიცხულნი და მათ უტარდებოდათ თუ არა ენის კომპეტენციის შესამოწმებელი ტესტი. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა და განმარტა, რომ ტესტი უტარდებოდათ და ასევე გასაუბრებაც ხდებოდა მათთან, გარდა ამისა, მათ თავიანთ ქვეყანაში რუსულ ენაზე ჰქონდათ მიღებული განათლება.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხელაშვილმა მიმართა დაწესებულებას, კონკრეტულად ენის რა დონეს ითხოვდნენ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ადამიანებს ვისაც მიღებული ჰქონდათ რუსულ ენაზე განათლება რა დონე უნდა განესაზღვრათ, გარდა ამისა გასაუბრებებიც იმიტომ ხდებოდა, რომ დაედგინათ დონე.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ ზუსტად განსაზღვრავდნენ დონეს და ჩაწერდნენ პროგრამის მიღების წინაპირობაში. ასევე, ისაუბრა აკადემიური წერის კურსზე, რომელიც არჩევით ნაწილში ჰქონდათ და ხომ არ ჯობდა გადაეტანათ სავალდებულო ბლოკში, რადგან საბაკალავრო ნაშრომებს წერდნენ სტუდენტები ბოლოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ სავალდებულო საგანი წერითი და ზეპირი კომუნიკაციები, ხოლო მეორე არჩევითი იყო აკადემიური წერა, მაგრამ აკადემიურ წერას ირჩევდნენ ყოველ წელს.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა თუ გადაიტანდნენ სავალდებულო ნაწილში საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის მიეცათ შესაძლებლობა გაეცათ რეკომენდაციებზე პასუხი და მერე გადასულიყვნენ კითხვა-პასუხის რეჟიმზე. დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სწავლის შედეგების შეფასების გეგმასა და სამიზნე ნიშნულების შემუშავებაზე მუშაობდნენ და უახლოეს პერიოდში ექნებოდათ. რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში გაეთვალისწინებინათ პროფესიული რუსულის, კერძოდ, ბიზნეს რუსულის სწავლება, ტერმინოლოგიის სწავლება შესაძლებელი იყო კონკრეტული საგნებიდან. თუ დაიწყებდნენ ბიზნესის საფუძვლებიდან, მარკეტინგის საფუძვლებიდან ისინი იმ ტერმინოლოგიას აუცილებლად ისწავლიდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ირმა ინაშვილმა განმარტა, რომ მათ არ მიაჩნდათ საჭიროდ ბიზნეს რუსულის სწავლება, რადგან ისწავლებოდა ეტაპობრივად საგნებთან ერთად. საგნები კი ტერმინების განმარტებით იწყებოდა, იქ მისული სტუდენტები იყვნენ რუსულ სკოლა დამთავრებულნი.

რაც შეეხებოდა შემდეგ რეკომენდაციას, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით, დაწესებულება იზიარებდა რეკომენდაციას. იმის მიუხედავად რომ ადმინისტრაცია სრულად აფინანსებდა ხარჯებს იმ ნაწილში მაინც პრობლემა იყო და ყველაფერს გააკეთებდნენ, რომ გაეძლიერებინათ ის სუსტი მხარე.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის სავალდებულო ბლოკში ესწავლებინათ ფინანსური მენეჯმენტი. სრულიად ეთანხმებოდა დაწესებულება.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას, აღნიშნა რომ 210 კრედიტიდან 120 კრედიტს მოიცავდა სილაბუსები, როგორც პრაქტიკულ კომპონენტს ისე, ლაბორატორიულ მეცადინეობის კომპონენტებს, თუმცა ეთანხმებოდნენ რეკომენდაციას და მოდიფიცირების დროსაც გაითვანისწინებდნენ.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა კარიერული სერვისების გაუმჯობესებას და სტუდენტების ინფორმირებულობის გაუმჯობესებას, აღნიშნა, რომ მათთან არსებობდა სპეციალური სამსახური დეკანატში, ხელშეკრულებები და მემორანდუმები ჰქონდათ გაფორმებული სხვადასხვა კომპანიებთან, მაგრამ პრობლემა იყო ის, რომ მათი უცხოელი კურსდამთავრებულები ბრუნდებოდნენ საკუთარ ქვეყნებში.

რაც შეეხებოდა მეშვიდე რეკომენდაციას, რომ დაწესებულებამ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის რუსულ ენაზე ხელმისაწვდომობას დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ ყველაფერი რუსულ ენაზე საიტზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ირმა ინაშვილმა, განმარტა, რომ ყველა რეგულაცია ჰქონდათ რუსულ ენაზე განთავსებული საიტზე, უწყისებიც და სხვა საჭირო მასალაც. ექსპერტების რჩევა იყო, რომ როგორც ჰქონდათ ინგლისურ ქართული ისე გაეკეთებინათ რუსულ-ქართული, რაზეც უნივერსიტეტმა დაიწყო მუშაობა და ტესტირების რეჟიმში მალე იქნებოდა რუსულენოვანი ვებ-საიტი.

სხდომის თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულებას კითხვით თუ ვინ იყვნენ საჯარო და კერძო სექტორის დამსაქმებლები, რადგან პროგრამაში აღინიშნებოდა დაბალი მაჩვენებელი დამსაქმებლების რაოდენობისა და ჩართულობისა. დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ დამსაქმებლების ჩართულობა იყო ძალიან მაღალი და ინტენსიური. ასევე გაითვალისწინეს მათი მოსაზრებები, მაგალითისთვის მოიყვანა, რომ გაითვალისწინეს მათი რჩევა და მოსაზრება პრაქტიკის კომპონენტის დამატება. დამსაქმებლები იყვნენ, როგორც კერძო ისე საჯარო სექტორიდან, როგორც იყო ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო.

რაც შეეხებოდა დამსაქმებლის დაბალ მაჩვენებელს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების 50%-ზე მეტი სწავლის დასრულების შემდეგ ბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყანაში. მონაცემების შეგროვება შედარებით რთული იყო, რადგან დასაკავშირებლად იყენებდნენ სოციალურ ქსელებს. საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში კი დასაქმების მაღალი მაჩვენებელი იყო.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ იკითხა, ფინანსურად რამდენად მდგრადი იყო პროგრამა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამისთვის გამოყოფილი იყო 266 453 ლარი, რომელიც ითვალისწინებდა, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებას, ლიტერატურის განახლებას და სხვა.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ იკითხა ერასმუსის პროგრამაში რამდენი სტუდენტი იყო ჩართული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 7 სტუდენტი იყო ჩართული, მაგრამ ციფრები იზრდებოდა და 21 განაცხადი უკვე შესული იყო კიდევ.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ იკითხა, რამდენი სტუდენტი იყო მოქმედი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 126 სტუდენტი ჰყავდათ, საიდანაც 77 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო.

საბჭოს სხდომაზე 17:50 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:55 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, პროგრამა ორ სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი,

დაწესებულებას 6 თვის ვადაში უნდა წარმოედგინა ანგარიში. ამასთან, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით მიზანშეწონილი იყო პროგრამას აკრედიტაცია მინიჭებოდა 2018 წლის 31 დეკემბრიდან, რათა პროგრამა 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 22 იანვრამდე არაკარგი ტიპის რეჟიმში არ გადასულიყო.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 31 დეკემბრიდან.

ასევე, საბჭოს იმსჯელა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე ანგარიშის წარსადგენად.

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

| საგანმანათლებლო დასახელება                 | პროგრამის    | სამუსიკო ხელოვნება                |
|--|--------------|-----------------------------------|
| კვალიფიკაციის დონე                         |              | დოქტორანტურა                      |
| მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კვალიფიკაცია | სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, 0805 |
| სწავლების ენა                              |              | ქართული                           |
| კრედიტების რაოდენობა                       |              | 180                               |

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს წევრმა მაკა ლაშხიამ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, მანა გელაშვილმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ექსპერტი მარკ ევერისტი ვერ ჩაერთვებოდა აღნიშნულ საბჭოს სხდომას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რჩევები, რადგან რეკომენდაციები არ ქონდა ექსპერტთა ჯგუფს.

რჩევები:

1) სწავლის შედეგებთან მიმართებაში ქულების შეფასების 2018 წლის საპილოტე ცხრილი ჯერ კიდევ ძალიან ახალია და შესაძლოა საჭრო იყოს დაწესებულების მიერ აკადემიური პერსონალის არსებითი გადამზადება.

2) სასწავლო რესურსების ყოველწლიურად ან შეძლებისდაგვარად ხშირად განახლება.

3) უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში განაცხადის გაკეთება დამატებითი რესურსებისთვის ფინანსების მოსაპოვებლად. a) Répertoire International de Littérature Musicale (RILM) მონაცემთა ბაზა. b) Naxos მუსიკალური ბიბლიოთეკა (მოიცავს კლასიკურ მუსიკასა და ჯაზს). c) საჭიროების შემთხვევაში, მუსიკალური ინსტრუმენტები ჯაზ პერფორმანსისთვის.

4) მეტი საერთაშორისო კავშირების დამყარება შესაბამის უცხოელ მკვლევართან, რათა გაგრძელდეს საერთაშორისო დონეზე სრულყოფილება.

5) დირიჟორობის, როგორც სადოქტორო სწავლებისა და კვლევის თემად განხილვა, სხვა საშემსრულებლო თემებთან ერთად.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნულ რჩევებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ძირითადად მათი მიზნები იყო ახალი დარგების განვითარება. რადგან საქართველოში ფაქტიურად არ ჰყავდათ კადრი ჯაზისა და ელექტრო-აკუსტიკური მუსიკის მიმართულებით. პროგრამა მცირე მასშტაბის იყო და რაოდენობრივად ცოტას იღებდნენ, მუსიკოსები ძირითადად ცდილობდნენ, რომ დრო არ გაეცდინათ და მთლიანად პრაქტიკას უთმობდნენ თავიანთ დროს, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ კვლევებით. მათ მიაჩნდათ, რომ კვლევითი ნაწილი იყო ძალიან საინტერესო და უამრავი საკითხი იყო გამოსაკვლევად მუსიკის სფეროში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კონკრეტულად რჩევებზე რას იტყოდნენ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ რჩევებს და განავითარებდნენ სხვა მიმართულებებსაც, განსაკუთრებით ორკესტრის დირიჟორის მიმართულებას. საორკესტრო სადირიჟორო მიმართულება კონსერვატორიასაც არ ჰქონდა, კადრების სიმცირის პრობლემა იყო იმ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა იკითხა, რომ პროგრამა იყო სპეციფიკური, ის არ იყო ფუნდამენტური კვლევების მიმართულება, რადგან იყო სახელოვნებო მიმართულების და შესაბამის კვალიფიკაციასაც ანიჭებდნენ. რამ განაპირობა, რომ გაეკეთებინათ ისეთი სპეციფიკის პროგრამა, როდესაც შეიძლებოდა მუსიკათმცოდნეობის მიმართულებით წასულიყვნენ, რა იყო მიზეზი იმის, რომ აქცენტი გააკეთეს შემოქმედებით მხარეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ადამიამ განმარტა, რომ მუსიკოლოგიის მიმართულებით ფუნქციონირებდა უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამები, რომლებიც გაერთიანებული იყო ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის ნაწილში. მისი პირადი პოზიცია იყო, რომ შემოქმედს ჰქონდა უნიკალური ხედვა, საინტერესო იყო მათ მიერ წარმოჩენილი ხედვა და შემოქმედება კვლევითი მიმართულებით. მაგალითისთვის მოიყვანა ირინა ემბრალიძე, რომელმაც დაიცვა ჯაზის მიმართულებით, პრაქტიკულ ნაწილში მან გააკეთა მრავალი ჩანაწერი. ის წერდა ტექნო და ფოლკჯაზის მიმართულებით. მან გააკეთა ისეთივე კვლევა ქართულ ეთნო და ფოლკჯაზის მიმართულებით, სადაც შეეხო მათ პრობლემებს, რადგან ხშირად ურევდნენ ერთმანეთში. იმ მხრივ ის იყო პირველი ნამუშევარი არამარტო საქართველოში არამედ ზოგადად. მსგავს თემაზე თავადაც ჰქონდა დისერტაცია დაცული შოტლანდიაში. თუ საშემსრულებლოზე ისაუბრებდნენ მათ ჰყავდათ ძალიან მაღალი რანგის შემსრულებლები ლაურიანტები საერთაშორისო კონკურსების, რომლებიც აკეთებდნენ ისეთივე კვლევით სამუშაოებს მეთოდის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ იკითხა პლაგიატთან დაკავშირებით, როგორ ახერხებდნენ შემოწმებას ნამუშევრების, თუ არსებობდა მუსიკაში რაიმე პროგრამები, რითიც შეეძლოთ შემოწმება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მუსიკაში მსგავსი პროგრამები არ არსებობდა, შემოწმება ხდებოდა იმით, რომ ერთის მხრივ ის ადამიანი მათთან აგრძელებდა მუშაობას და

სწავლას, მალევე შემაჩნევდნენ თუ გაყალბებული ჰქონდა მას რაიმე და მეორე, ისინი ითხოვდნენ ვიდეო ჩანაწერებს და შეუძლებელი იყო დიდი მასშტაბით გაეყალბებინათ, ასევე წინასწარ მიდიოდა მსურველი მათთან და მათ წინაშეც უკრავდა. შეუძლებელი იყო სხვისი ჩანაწერის წარმოდგენა. აუდიო ჩანაწერი შეედლოთ გაეყალბებინათ, მაგრამ ვიდეო ჩანაწერის გაყალბება შეუძლებელი იყო.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ იკითხა, რომ მე-17 საუკუნის ნაკლებად ცნობილი ნაწარმოები, რომ წარედგინათ, როგორ გაიგებდნენ და საავტორო უფლებებიც უნდა ყოფილიყო იმ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა იკითხა, რომ სასწავლო კრედიტებისა და კვლევითი კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებით, როგორც ჩანდა ერთი წესი იყო მიღებული. მაგრამ იქ იყო ის სპეციფიკა, რომ სადისერტაციო ნაშრომი არ იყო ის რაც სხვა დარგებში. იქ იყო ტექსტუალური ნაწილი და შემოქმედებითი ნაწილი. კითხვა შეეხებოდა, პროგრამაში სადოქტორო სემინარებს 6 კრედიტი ჰქონდა მინიჭებული, ხოლო კვლევით სემინარებს 3 კრედიტი, მაშინ როდესაც არანაკლები სამუშაო იყო სილაბუსების მიხედვით, გასაკეთებელი. რამ განაპირობა ის, რომ კრედიტების რაოდენობა იყო ისე განსხვავებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვლევითი ნაწილის წონა იყო დაბალი და იმიტომ იყო მასე გაწერილი. სილაბუსებში გაწერეს ის, რაც მნიშვნელოვანი და მთავარი იყო.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ არ გამოჩნდა სილაბუსებში ნაკლები სამუშაო თუ იყო შესასრულებელი, იგივე პროგრამის წინა კვლევით სემინარების სილაბუსებს თუ შეადარებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადოქტორო სემინარები ემსახურებოდნენ ასევე პროსპექტუსს და იყო პირველ-მეორე სემესტრში, სადაც უფრო მეტი სამუშაო სჭირდებოდათ და მეტი სიმძიმის იყო, ამიტომ ჰქონდათ 6 კრედიტი.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ მოეწონა მათი პორტფოლიოს კონცეფცია თუმცა ჰქონდა კითხვა: ორი შესაძლებლობა ჰქონდათ აღწერილი პორტფოლიოში. ერთი იყო შემოქმედებითი ნაწილი და პლიუს ტექსტი კომენტარებით, ხოლო მეორე, შემოქმედებითი ნაწილი დისერტაციით ანუ ანალიტიკური-კვლევითი ტექსტიც მოეთხოვებოდათ. პირველ შემთხვევაში პროექტს მხოლოდ აღწერდნენ კომენტარებით, ხოლო მეორე შემთხვევაში უფრო მეტი სამუშაო იყო ჩასატარებელი, რადგან ის იყო ახლოს ფუნდამენტურ კვლევებთან, ხომ არ ფიქრობდნენ, რომ არათანაბარ მდგომარეობაში აგდებდნენ დოქტრანტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ შემთხვევაში შესაძლებელი იყო კომენტარები მათი მნიშვნელობით გატოლებოდა დისერტაციას.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ მთლიანობაში კარგი კონცეფცია ჰქონდა პროგრამას და იმედოვნებდა, რომ კარგ შედეგს მოიტანდა.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ კვლევით სემინარებში თემატიკა მეორდებოდა, რაზეც არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი. საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ ძალიან კარგი კონცეფცია ჰქონდა პროგრამას და კარგ შედეგს მოუტანდა ქართულ ხელოვნებას.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, მოტივაცია რა იყო სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მათ შემთხვევაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კვლევა და მეთოდოლოგიური საკითხები იყო მთავარი მოტივაცია.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ იკითხა აკადემიური საქმიანობა რამდენად იყო მოტივაცია, აღნიშნულ პროგრამაზე ჩაბარების. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყოველთვის არ იყო მოტივაცია აკადემიური საქმიანობა.

მოცემულ შემთხვევაშიც, პირველი საკითხის მსგავსად, საბჭომ მიიჩნია, რომ პროგრამით გათვალისწინებული შეფასების სისტემა მიზანშეწონილი იყო შეცვლილიყო, კერძოდ, უმჯობესი იყო თუკი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის შეფასება განხორციელდება ერთჯერადად. გარდა ამისა, დაწესებულებას უზრუნველყოს აკადემიური საქმიანობის გაგრძელების მოტივაციის გაძლიერება დოქტორანტებისთვის. ასევე, კვლევითი და სადოქტორო სემინარებისთვის მინიჭებული კრედიტები გაესწორებინათ. აქედან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტი შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:30.  
შესვენება განახლდა 18:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3<sup>1</sup> პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, მიზანშეწონილია პროგრამაზე 6 თვის ვადაში უნდა განხორციელდეს მონიტორინგი.

4. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტის შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

|  |              |   |
|--|--------------|---|
| საგანმანათლებლო დასახელება                 | პროგრამის    | შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის პროგრამა |
| კვალიფიკაციის დონე                         |              | მაგისტრატურა  |
| მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კვალიფიკაცია | სამართლის მაგისტრი, 06                              |
| სწავლების ენა                              |              | ქართული   |
| კრედიტების რაოდენობა                       |              | 120   |

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, მაია გელაშვილმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ექსპერტი ანა კლებეს-პელისე ვერ ჩაერთვებოდა აღნიშნულ საბჭოს სხდომას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, ნინო ბოგვერაძემ საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაცია.

- შეფასების კრიტერიუმები პროგრამის სილაბუსების უმეტეს ნაწილში ერთი და იგივეა, ერთადერთი განსხვავება ქულების გაყოფაშია. ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს თითოეული სილაბუსის პირადი ინტერესების, თვალსაზრისის, კურსის სპეციფიკის მიხედვით ორგანიზებას, რაც უზრუნველყოფს თითოეული ლექტორის აკადემიური თავისუფლების დაცვას.

საბჭოს წევრმა გიორგი ამილახვარმა მიმართა ექსპერტს კითხვით, რომ პერსონალის რაოდენობა იყო 54 საიდანაც 40 იყო მოწვეული პედაგოგი, მდგრადობის კუთხით რაიმე პრობლემას ხომ არ უქმნიდა პროგრამას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განაცხადა, რომ ზოგადად აღნიშნული საკითხი ყველა უნივერსიტეტის პრობლემა იყო. პერსონალი ვინც ჰყავდათ იყვენენ ძალიან კვალიფიციური

კადრი და პროგრამაც ისე იყო აწყობილი, რომ ორიენტირებული იყო იმ სწავლის შედეგების მიღწევაზე. აღნიშნული მიმართულებით მათ პრობლემა არ დაუნახავთ.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა სამაგისტრო ნაშრომებს თუ გაეცნენ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძალიან მაღალი დონის სამაგისტრო ნაშრომები ჰქონდათ დაცული.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა იმ შეფასებისთვის. რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ შეინიშნებოდა მსგავსი მიდგომები და მისაღები იყო სრულიად რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა პროგრამის ერთ-ერთ სილაბუსში მითითებული იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ქართულენოვანი ლიტერატურა კი არ იყო გამოყენებული. რა იყო მიზეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ ახდენდნენ ქართული სამართლებრივი საფუძვლების იგნორირებას, პროგრამის დიდი ნაწილი იყო ინგლისურენოვანი და საგნები თითქმის ყველა იკითხებოდა ინგლისურ ენაზე ან ინგლისურ ენაზეც, სტუდენტს შეეძლო, რომ საგნები გაეველო 50% ან 100%-ით ინგლისურ ენაზე. ნაშრომების დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზე იწერებოდა და პლაგიატის მხივაც გაუადვილდათ შემოწმება. პროგრამას თუ ნახავდნენ იქ იყო ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საგნები და ორივე ენაზეც, რომელი საგანიც იკითხებოდა ქართულად იქ იყო ქართული მასალები და ინგლისურიც.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 19:34 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 19:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტის შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3<sup>1</sup> პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტის შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

|  |              |                                      |
|--|--------------|--------------------------------------|
| საგანმანათლებლო დასახელება                 | პროგრამის    | ბიზნესის ადმინისტრირება              |
| კვალიფიკაციის დონე                         |              | დოქტორანტურა                         |
| მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, 02 |
| სწავლების ენა                              |              | ქართული                              |
| კრედიტების რაოდენობა                       |              | 180                                  |

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, მათი გელაშვილმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ექსპერტი პანდელის იპსილანდისი ვერ ჩაერთვებოდა აღნიშნულ საბჭოს სხდომას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, ნათია დაღელიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები.

- პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების შეუსაბამობა უნდა იქნეს მიმოხილული და სათანადოდ მოგვარებული. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იქნეს გასწორებული, რათა ასახოს პროგრამის მიერ კურსდამთავრებულებში განვითარებული უნარები მათი აკადემიური კარიერისათვის მოსამზადებლად, ხოლო პროგრამა უნდა გაძლიერდეს უცხოურ ენაზე კომუნიკაციის სფეროში, განსაკუთრებით სამეცნიერო საკითხებში.
- საგანი "კვლევის მეთოდები" ექვემდებარება განხილვასა და გადახედვას სადოქტორო კვლევის არსისა და თავისებურებების გათვალისწინებით, პრობლემის ხაზგასმით, სისტემური მიდგომით გადაჭრის გზებისადმი სხვადასხვა ნაბიჯების მეშვეობით. კურსი უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტებს უნარებით კვლევის მეთოდებისა და ინსტრუმენტების ფართო სპექტრის თაობაზე, რომლებიც ემყარება დარგის უახლეს მიღწევებს იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ კვლევის სათანადო დიზაინის შექმნა და ასევე, პრობლემის სპეციფიკის გათვალისწინებით (კვლევის ელემენტები, კვლევის დიზაინის ტიპი, კვლევის საკითხების და ამოცანების განსაზღვრა, კვლევის ჰიპოთეზის შემუშავება და სხვ.) ახალი ცოდნისა და იდეების განვითარება.

- გადაიხედოს სწავლის შედეგები, რათა აისახოს პროგრამის დონე და მითითებულ იქნეს შედეგები, რომელთა მიღწევის შეფასებაც შესაძლებელია.
- განახლდეს სწავლის შედეგების რუკის სქემა, რათა პროგრამის მიმოხილვის ეტაპებზე იგი გადაიქცეს პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგისა და კონტროლის ეფექტურ საშუალებად.
- შეფასების მეთოდოლოგიები უნდა იქნეს გადახედილი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი დაკავშირებულნი იყვნენ თითოეული საგნის სწავლის მიზნებთან.
- გაიზარდოს მოთხოვნები დოქტორანტების ნაშრომების პუბლიკაციებისადმი, რათა დაემატოს პუბლიკაციები ინგლისურ ენაზე და დადგინდეს მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ჟურნალებისა და კონფერენციების ნუსხა დოქტორანტთა ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.
- გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომლებიც ინგლისურ ენაზე აქვეყნებენ ნაშრომებს შესაბამის საერთაშორისო ჟურნალებში, რათა პროგრამისა და მისი პერსონალისათვის მოიპოვონ მზარდი საერთაშორისო აღიარება.
- იმუშაონ შიდა შეფასების ფორმის გადაქცევაზე ანგარიშის გენერირების პროცესიდან "შიდა აკრედიტაციისა" და ხარისხის გაუმჯობესების პროცესად, რომელიც ჩართული იქნება პროგრამის მენეჯმენტსა და ოპერირებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიიღეს რეკომენდაცია და პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით არსებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად დააკონკრეტეს და დააზუსტეს სწავლის შედეგები. ასევე სტუდენტთა ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის გაძლიერების მიზნით დისერტაციის დაცვის აუცილებელ პირობად განისაზღვრა ერთი ნაშრომის პუბლიკაცია მაინც ინგლისურ ენაზე სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილ მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნება ან საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალებში.

რაც შეეხებოდა შემდეგ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსის შინაარსში რაოდენობრივ მეთოდებთან ერთად დაბალანსდა ხარისხობრივი კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები. ასევე უნივერსიტეტის 2019 წლის საერთო ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები, რომლებიც უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვლევების დაფინანსებას და ინგლისურ ენაზე მათი შრომების პუბლიკაციას მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე სამეცნიერო ჟურნალებში.

რაც შეეხებოდა ბოლო რეკომენდაციას დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში მუშავდებოდა ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებდა შიდა და გარე შეფასებებს, შესაბამისი ანგარიშების მომზადებას, ანალიზს. მოხდებოდა პროგრამის ეტაპობრივი დახვეწა.

საბჭოს წევრმა გიორგი ამილახვარმა მიმართა ექსპერტებს კითხვით, თუ გადახედეს სადოქტორო ნაშრომებს და რა შეეძლოთ ეთქვათ მასთან დაკავშირებით, ასევე მოწმდებოდა თუ არა პლაგიატზე და რა მიდგომები ჰქონდა უნივერსიტეტს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ გაიარეს ყველა სადისერტაციო ნაშრომი და განიხილეს, ძალიან მაღალ დონეზე იყო გაკეთებული დისერტაციები, სადაც გამოყენებული ჰქონდათ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა პლაგიატის შესამოწმებელ პროგრამასთან დაკავშირებით, მათ გააფორმეს ხელშეკრულება კონკრეტულ კომპანიასთან და უპრობლემოდ შეამოწმებდნენ ნაშრომებს.

საბჭოს წევრმა გიორგი ამილახვარმა იკითხა, რომ მისიაში იყო მშვიდობისა და დიპლომატიის ორიენტირი, რომელიც საკმაოდ აქტუალური იყო და გადატანილი პროგრამის მიზნებშიც. თუ შეიძლებოდა, რომ დაესაბუთებინათ რა კონკრეტული გადადგმული ნაბიჯები და კვლევები იყო მიზნების მისაღწევად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონკრეტული პროგრამა შექმნილი იყო, როგორც სექტორული პროგრამა, რომელიც დაეხმარებოდა აფხაზეთის ეკონომიკურ ინტეგრაციას საქართველოს ეკონომიკის სექტორში. ორიენტირებული იყო ბიზნესის ადმინისტრირებაში თანამედროვე, ინოვაციური, პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. პროგრამას შეეძლო მშვიდობიანი პროცესების დაჩქარება.

საბჭოს წევრმა გიორგი ამილახვარმა იკითხა, კონკრეტულად რომელი კვლევითი პროექტები ემსახურებოდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ყოველწლიურად ბათუმში იმართებოდა კონფერენცია ქართულ-აფხაზური ურთიერთობებთან დაკავშირებით, კვლევებიც ტარდებოდა იმ მიმართულებით, მაგალითისთვის მოიყვანა ლევან აქუბარდია, რომელიც მუშაობდა ისეთ თემაზე, როგორც იყო: „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება ეკონომიკური მექანიზმებით“.

საბჭოს წევრმა გიორგი ამილახვარმა იკითხა თუ რამდენი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი ჰყავდათ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აქტიური სტატუსის 12 დოქტორანტი იყო.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა იკითხა უცხოელი შემფასებელი იყო თუ არა, როგორც ერთ-ერთი ოფიციალური რეცენზენტი რაზეც დაეთანხმა დაწესებულება. საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა იკითხა დაცვის დროს გამოხმაურებები სავალდებულო იყო თუ სასურველი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სავალდებულო არ იყო და იყო მხოლოდ სასურველი. საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა იკითხა სავალდებულოდ ჰქონდათ თუ არა დაცვის შემდეგ მონოგრაფიის გამოცემა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სავალდებულო იყო.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 20:18 საათზე.  
საბჭოს სხდომა განახლდა 20:26 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11  
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3<sup>1</sup> პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების გადამოწმების მიზნით, 6 თვის ვადაში უნდა განხორციელდეს მონიტორინგი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 20:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე  
ქეთევან ქოქრაშვილი

გიორგი ამილახვარი

მდივანი  
ლევან გორდეზიანი

